სამცხე ჯავახეთის ლანდშაფტების კლიმატის ცვლილების გავლენის შეფასების მეთოდოლოგიური მიმოხილვა

მაია ცხვარაძე

ელ-ფოსტა: maia.tskhvaradze474@ens.tsu.edu.ge
გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ი. ჭავჭავაძის გამზირი 3, თბილისი, 0179, საქართველო

კაცობრიობის წინაშე მდგარ გლობალურ ეკოლოგიურ პრობლემებს შორის ერთ-ერთი ყველაზე უმწვავესია კლიმატის ცვლილება. მრავალი მეცნიერის, საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაციის ძალისხმევა მიმართულია იმ გზების ძიებისაკენ, რომლებიც შეანელებდა კლიმატის ცვლილების პროცესებს და შეძლებისდაგვარად შეასუსტებდა კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ საფრთხეებს და თავიდან აგვაცილებდა გარემოს დეგრადაციის შედეგად მოსალოდნელ სოციალურ-ეკონომიკურ დესტაბილიზაციას.

კლიმატის ცვლილების უარყოფითი შედეგები საქართველოს ძლიერ საფრთხეს უქმნის. ქვეყნის ბუნებრივი პირობების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, პრობლემებიც კომპლექსურია. კლიმატის ცვლილების გავლენას მრავალი კვლევა მიეძღვნა, თუმცა დღემდე ნაკლებადაა შესწავლილი ეს გავლენა ცალკეულ ლანდშაფტებზე. ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული ის მეთოდოლოგიური საფუძველი, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემდა ახსნილიყო კლიმატური პირობების ცვლის მოზაიკური ხასიათი.

ლანდშაფტის ცვლილების დადგენა თანამედროვე გეოგრაფიული და გარემოსშემსწავ-ლელი კვლევების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, ვინაიდან იგი მნიშვნელოვანია, ერთის მხრივ, ლანდშაფტის ბუნებრივ-რესურსულ პოტენციალს და მეორეს მხრივ, მასში მიმდინარე ტენდენციების დასადგენად. ასეთი კვლევები შესაძლებლობას იძლევა შეიქმნას მეცნიერულად დასაბუთებული საფუძველი ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების ლანდშაფტური დაგეგმარებისა და გარემოს დაცვისათვის. შესაბამისად ნაშრომის უმთავრესი მიზანია ჯავახეთის რეგიონის ლანდშაფტების კლიმატის ცვლილების გავლენის შეფასება და მათი სივრცე-დროითი მოდელის შექმნა.

ნაშრომში განხილულია სამცხე ჯავახეთის ლანდშაფტებზე კლიმატის ცვლილების გავლენის შეფასების მეთოდოლოგიური მიმოხილვა, მათ შორის კვლევის შეზღუდვები და დაშვებები.